

Erasmus+

სალექციო კურსი ელექტრული ინჟინერიის მიმართულებით, ჟემუვის ტექნოლოგიურ უნივერსიტეტში

2021 წლის 11-15 ოქტომბერს სტუ-ს ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის, ტელეკომუნიკაციის დეპარტამენტის ასოც. პროფ. ნიკოლოზ აბზიანიძე, Erasmus+ გაცვლითი პროექტის ფარგლებში, აკადემიური პერსონალის მობილობით იმყოფებოდა პროექტის კოორდინატორ პოლონეთის ჟემუვის ტექნოლოგიურ უნივერსიტეტში (Rzeszow University of Technology – RUT).



ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორმა წაიკითხა 8 საათის მოცულობის სალექციო კურსი ელექტრული ინჟინერიის მიმართულებით, პოლონური უნივერსიტეტის ბაკალავრიატის და მაგისტრატურის სწავლების სტუდენტებისათვის.

უნივერსიტეტში სტუმრობისას ასოც. პროფ. ნიკოლოზ აბზიანიძემ, ასევე, წარმოადგინა პრეზენტაცია ტექნიკურ უნივერსიტეტში სასწავლო და სამეცნიერო-საგანმანათლებლო პროცესების მიმდინარეობის შესახებ.



ჟემუვის ტექნოლოგიურ უნივერსიტეტში სტუ-ს ახალგაზრდა მკვლევარს მასპინძლობას უწევდნენ ელექტრული ინჟინერიის ფაკულტეტის Erasmus+ კოორდინატორი პროფ. სვავომირ სამოლეჟი (Slawomir Samolej); ელექტრონიკისა და ტელეკომუნიკაციის დეპარტამენტის ხელმძღვანელი პროფ. პიოტრ იანკოვსკი-მიჰულოვიჩი (Piotr Jankowski-Mihulowicz) და ფაკულტეტის სხვა წარმომადგენლები.



პოლონელ კოლეგებთან სამუშაო შეხვედრებზე განხილული იქნა ერთობლივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტების განხორციელების შესაძლებლობები.

ვიზიტის დროს, გათვალისწინებული იყო გაცნობითი და საქმიანი შეხვედრები, რომლებიც გაიმართა საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტში, Erasmus+ მობილობის კოორდინატორთან, ქალბატონ მონიკა სტანიშთან (Monika Stanisz).

მობილობის პროგრამა, ასევე, ითვალისწინებდა სოციალურ-კულტურულ ღონისძიებებს პროფ. სვავომირ სამოლეჟის ორგანიზებით, კერძოდ, ქალაქ ჟემუვისა და ახლომდებარე ისტორიული ძეგლების დათვალიერებას, მასპინძელი უნივერსიტეტის ელექტრული ინჟინერიის ფაკულტეტის წარმომადგენლებთან ერთად.